1877—1895

№ 22
კვირა, 29 იანვარი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

# ივერია

№ 22
კვირა, 29 იანვარი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**ქეთევან რომანის ასული ყავრიშვილისა** შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა, პირველი მეუღლისა და მეორენი საყვარლისა მამისა მათისა, **იოსებ ბესარიონის ძის ყავრიშვილისას** და სთხოვენ მობრძანდნენ სოფელ მოხისს 31 ამ იანვარს, დღით სამშაბათს მიცვალებულის დასაფლავებაზედ დასასწრებლად.

პანაშვიდი იქნება გარდახდილი კვირას, 29 იანვარს, ნაშუადღევის პირველს საათზედ, კალოუბნის ეკკლესიაში, ქ. ტფილისში.

(2—2)

გოლოვინის პროსპექტი, სახლი მირიმანოვისა

**გამოფენის**

უკანასკნელი კვირა.

ჩვენის დროისათვის ორი უდიდესი საკვირველება

1) **ქონდრის კაცები**

ქვეყნაზედ უპატარესნი ცოლ-ქმარნი დედამიწის ზურგზედ

**მარკიზ პოლგე**, შობილგან 38 წლისა, სიმაღლით 28 დიუიმი, სიმძიმით 9½ კილ.

**მარკიზა ლუიზა**, შობილგან 28 წლისა, სიმაღლით 29 დიუიმი, სიმძიმით 0½ კილ.

2) ცოცხალნი ბუნებრივა შეხორცებულნი ინდოეთელნი



ტყუპნი-დანი

**რადიკა და დოოდიკა**

ჩვენის დროისათვის ყველაზედ უდიდესი საკვირველება ბუნებისა

გამოფენა დაიკეტება სამშაბათს, 31 იანვარს, სალამოს 10 საათზედ.



გამოფენა ღიაა ყოველ დღე, დილის 11 საათიდგან სალამოს 10 საათამდის. ადგილების ფასი დაკლებულია: სკამები 20 კაპ., ფეხზედ დგომით 10 კაპ. ყმაწვილები 10 წლისაზედ ნაკლებნი და ჯარის კაცნი იხდიან მხოლოდ ნახევარს ფასს.

(20—6.—20)

ქართული თეატრი

კვირას, 29 იანვარს, 1895 წ.

„ქართულ წარმოდგენების მმართველ ამხანაგობის" დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ახალის მოწყობილობით და ტანთ-საცმელებით.

I

**სამშობლო**

ისტ. დრ. 5 მოქ. თავ. დ. გ. ერისთავისა.

პიესაში მონაწილეობას მიიღებს 80 კაცი მოთამაშე, სამხედრო მუსიკა და ქართული სორო.

მონაწილეობას ღებულობენ: ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა და სხვ. ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, მარჯანოვი, ადამიძე, გუნია და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „მამულდედული" ზუდერმანისა, „დენიზა" დიუმასი და სხ.

| რეჟისორი | ადმინისტრატორი |
|---|---|
| ალ. მესხიშვილი | ვალ. გუნია. |

(2—2)

ტფილისი, 29 იანვარი.

—

ამ დღეებში ჩვენ გამოვუცხადეთ სრული თანაგრძნობა „Моск. Вѣд."-ებს, მათგან გამოთქმულის გულის-წუხილისა რუსინთა შესახებ; ჩვენც ჩვენის მხრით გავკიცხეთ და დავგმეთ სდევნა ნაციონალურის გრძნობისა და მიმართულებისა; ბოროტებად ჩავსთვალეთ სამშობლოის ენის, იმაზედ წირვა-ლოცვის და სწავლების აღკრძალვა და ვსთქვით, რომ ყოველი სახელმწიფო, ყოველი ერი, რომელიც ამ გასაკიცხს გზას ადგია, დანაშაულია.

ჩვენ ვფიქრობდით ამ საგნის შესახებ ამით დაგვებოლოებია საუბარი ჩვენს მკითხველებთან, რომ კიდევ იმავე გაზეთს ამ საჭირ ბოროტო საგნის შესახებ უფრო და უფრო არ აღემაღლებინა ხმა და მეტის გულ-ამოსკვნით არ დაეწყო ქვითინი. აი, რას ამბობს „Моск. Вѣд." ერთ-ერთს თავის უკანასკნელს წერილში, რომლის სათაურიც შემდეგია; „დაუხსნელი, დამონებელი რუსეთი".

„ჩვენი ძმები, რუსინები, სრულიად მოწყვეტილნი და განკერძოებულნი არიან ჩვენთან და საზოგადოდ მთელს ქვეყნიერობასთანაც; იგინი არიან შეზღუდულნი შეუვალის გალავანით და ცოცხლადვე დამარხულნი თავისსავე საკუთარს სამშობლოში. გარეშე ქვეყნიერობამ დიდი ხანია დასტოვა ფიქრი ამ ცოცხალ-მკვდრებზედ. მათი მესაფლავენი, ანუ ციხის დარაჯნი,—უნგარნი,—აღარც-კი ჰფიქრობენ იმის შესახებ, რომ ამ მკვდარს სამეფოშიაც შეუძლიან როგორმე კვლავ შეიჭრას სხივი მაცხოვლებელის სინათლისა. რუსინთა დამმონებელთ აღარ ეშინიათ ჭეშმარიტების სიტყვისა და განკიცხვისა.

„ქვეყანა" ჰფიქრობენ უნგარნი, „არ მიაქცევს ამ ჩვენს მოქმედებას ყურადღებას", და თანაც ლაპარაკობენ: „აბა ნახონ, როგორ ოსტატურად მოვექეცით რუსინებსაო!" უნგრებმა წაართვეს რუსინებს ყოველივე: სკოლა, ეკკლესია, თავისუფლება სვინიდისისა, ენა; გარყვნეს მათი სამღვდელოება და ინტელიგენცია—გარყვნეს თვით იგინიც.

აი, რამდგომარეობამდის უკიდურესის მონებისა, რა სულიერსა და ხორციელ სიღატაკემდის მიაღწევინეს უნგრებმა ერთს დროს სახელ განთქმულ რუსინებს, ჩვენს თანასწორთ, მაგრამ ჩვენ მიერ უყურადღებოდ დაგდებულთ და დავიწყებულთ მოძმეთ! უნგრებთაგან დამონებული, დაუხსნელი მხარე სიკვდილის წინამორბედს ძრწოლა-კანკალშია და ყოველი მისი ოხვრა მძიმე ყვედრებაა რუსეთის ერისათვის... დიაღ, თუ არ დავეხმარეთ მათ—მათი სიცოცხლე არის ღატაკი, უბედური, მწარე და საშინელი!..."

ასეთი ჭეშმარიტი ღაღადება, ასეთი გულდამწვარი ჩივილი, ცრემლიანი ძიება თანაგრძნობისა, ვის გულში არ მოიპოვებს ნავთსაყუდელს და ვის არ ჩააფიქრებს ნაღვლიანად?!

მაგრამ ამაზედ საუბარს არ განვაგრძობთ, რადგანაც ჩვენი აზრი ამ საგნის შესახებ, როგორც ზემოთა ვსთქვით, ჩვენ უკვე განვუზიარეთ ჩვენს მკითხველებს, მხოლოდ დღეს გვსურს აქ აღვნიშნოთ მოკლედ სულ სხვა რამ: იგივე გაზეთი ამბობს, რომ „თუ არ დავეხმარეთ—რუსინთა სიცოცხლე ღატაკი, უბედური, მწარე და საშინელი არისო."

ჩვენის აზრით სამართლიანობა და კაცობრიული გრძნობა მოითხოვს, რომ, როდესაც რომელიმე ერი, ანუ მისი ნაწილი, ამა, თუ იმ მიზეზის გამო, ხელთ ჩაუვარდება მეორე ერს და ეს უკანასკნელი, მიუხედავად ყოვლისა, დაუწყებს პირველს მტარვალობას და ყოველივე მისს პირადს, ეროვნულს ღირსებას, სიმდიდრეს, სიკეთეს და უფლებას გაანადგურებს—მაშინ მას უნდა მიეშველოს არა მარტო ერთი რომელიმე ერი, არამედ, თუ საჭიროა, მთელი ქვეყანაც? ამგვარად დაცული უნდა იქნეს არსებითი კანონი, რომელიც ბუნებას, ისტორიას და კაცთ-მოყვარეობას შეუმუშავებია. ამ აზრის მიმდევარი „Моск. Вѣд." უნდა სცდილობდეს დაეხმაროს საქმით რუსინებს და ამ გვარად მათ ააცდინოს სულის სახმილი, და თავის თავს კიდევ—სულ მუდამ დღე მათ შესახებ ჩივილ-ტირილი; თორემ ცარიელი სიტყვები, ცარიელი

# ფელეტონი

—

**კაცობრიობა და ხალხოსნობა**

წერილი მეორე

უმთავრესნი სადსარნი დაცემულთა ერთა წარსამატებლად.

IV

რომ უფრო წყობისად, თინაბრად ძლიერათ, სრული ჯანითა, ღონით და გონით გაუდგეს ერი პროგრესიულს გზას, არის საჭირო, როგორც ზემოთაც ითქვა, რომ ყველა თანასწორი ბედნიერი იყვეს, თქმა არ უნდა, რაოდენათაც ეს შესაძლებელია და კაცის ხელთ არის. ამის მიწდომა შეიძლება მხოლოდ შეერთებული შრომით, ამხანაგობაებით.

ერის გაძლიერებისათვის აი რა გვესმის სპენსერისაგან მის წიგნში „განვითარება პოლიტიკურთა წყობილებათა", რა არის საჭირო.

„უბრალო ჯგუფად ყოფნა ცალკე პირთა არა ნიშნავს საზოგადოების შერდგენას. საზოგადოება შერდგება მხოლოდ მაშინ, როდესაც გარდა ამისა, რომ ცალკე პირნი ხვდებიან ერთმანეთს, ამასთანავე შეადგენენ კოოპერაციასაც ერთმანეთში. მინამ ყველა ცალკე პირნი. რომელიმე ჯგუფისა არ შეაერთებენ თავის ძალას თავისი წადილების შესასრულებლად, მინამდის იმათს ერთად ყოფნას არაფერი მნიშვნელობა არა აქვს. ისინი მხოლოდ მაშინა კავშირდებიან მტკიცეთ ერთმანეთში, ერიდებიან ერთმანეთის დაშორებას, ცდილობენ უფრო დაახლოვებას, როდესაც ჰხედამენ, რომ მათი მოთხოვნილებანი და საჭიროებანი შეერთებული ძალით უფრო ადვილად და კარგათ კმაყოფილდებიან, ვიდრემ მაშინ, როდესაც ყველა მათგანი ცალკე ჰმოქმედებს ცალკე შრომობს."

დღეს ამას დამტკიცება აღარ უნდა, რომ შეერთებული შრომა ერთი ასათ ერთი ათასათ მეტს აკეთებს, ვიდრე მაშინ, რომ ყველას ცალკე ემუშავნა და ყველა თავისთვის ცალკე ყოფილიყო გამდგარი. და რამდენიც უფრო ხანი გადის, იმდენი უფრო მკვიდრდება აზრი და საჭიროება, რომ შრომა უნდა იყვეს შეერთებული, ნაშრომი უნდა ეკუთვნოდეს მშრომელს, თავნი და მოგება უნდა შეარდგენდეს საერთო საკუთრებას. რავდენადაც მრავალნი გარემოებანი უჩვენებენ, რომ შეერთება ერებისა საჭიროა კაცობრიობის საბოლოვოსა და ინტერესებისათვის, საჭიროა მათი უფლებაების შეთანასწორება,—იმდენად ყოველი გზა, ყოველი გარემოება, გონივრება, ლოღიკა, თვით ბუნება კაცისა თუ გარე მოვლინებათა უჩვენებენ კაცს, რომ კაცთა კრების შერმადგენელნი უნდა იყვნენ თანასწორნი, შრომა იყვეს შეერთებული. რა არის კაცის აგებულება, თუ არ ასსოციაცია მისთა შერმადგენელთა ნაწილთა! რა არიან ცალკ-ცალკე კაცის აგებულების შერმადგენელნი ნაწილნი, თუ არ იგივე ასსოციაცია, მსახური ერთმანერთისა! უერთმანერთოდ არც ერთი არ ევარგებოდა. მით უფრო უნდა გაიღვიძოს და იღვიძებს კიდეც დღეს ეს აზრი, რომ მაშინები აგდებენ ცალკე მშრომელთ საშინელს განსაცდელში. ცარიელს ხელს ათასს არ შეუძლიან გააკეთოს ის, რასაც ერთი ხელი გააკეთებს მაშინით. მაშინების მეფობის დროს, როდესაც ათასი კაცის საქმეს ერთი აკეთებს, ცხადია მრავალი მშრომელი ხალხი უნდა დარჩეს უსაქმოდ. მოგება, რომელსაც იძლევა მაშინა, ესე იგი ის, რაც სხვა ათასს მუშას უნდა რგებოდა, რჩება მაშინის პატრონს. ეს კიდევ არაფერი. მაშინა ათახსირებს და დედამიწასთან ასწორებს თვით იმ ბედნიერს მუშასაც, რომელთაც წილად ხვდება მაშინაზედ მუშაობა. რაკი მაშინა აკეთებს მრავალი მუშახელის საქმეს, რაკი ამის გამო მრავალი რჩება უსაქმოდ, ულუკმა-პუროდ, მაშინ ყველა მშრომელი იძულებულია წაელალოს მაშინის პატრონს, რომ იშოვონ საქმე. მიდის ასი, ათასი. მაშინის პატრონს უნდა ხუთი, ათი. აქ თვით გარემოება უწყობს მაშინის პატრონს ხელს, რომ ამითი ისარგებლოს და რაც შეიძლება იაფად აიყვანოს მუშა. ის უცხადებს, რომ აიყვანს მას, ვინც ნაკლებს დასჯერდება. რაღა თქმა უნდა, გაჭირვებულნი, უკანასკნელს მდგომარეობაში ჩავარდნილნი მუშაკნი სჯერდებიან უკანასკნელს, რომ სიმშილით სული არ ამოხდეთ. აქ გამოდის ამ გვარი გარემოება. მრავალნი რჩებიან უმუშაოდ, მაშასადამე ულუკმა-პუროდაც; მცირენიც, თუმცა შოულობენ საქმეს, მაგრამ ისრე მცირე ფასს იღებენ თავის შრომაში, რომ კუჭსაც ვერ იძღობენ ამითი. მართალია მაშინა აძლიერებს და ჰმატებს საქმის ნაყოფიერებას, მაშასადამე უიაფებს მუშტარს საქონელსა, მაგრამ შედარებით მასთან, რასაც ვნებას აძლევს ხალხის მეტს წილსა, მისი მოგება ვერ გასწევს ამ ზარალის მაგიერობას. ამგვარად მაშინა, რომლისაც ბუნება ისრეთია, რომ შეუმსუბუქოს კაცს შრომა, მოსცეს მეტი სარჩო, გახდეს საერთო ბედნიერების სალსარი,—დღევანდელს წეს-წყობილებაში ხდება სავნებელი, მაზარალებელი, საბოროტო.

ცხადია, ამგვარმა მდგომარეობამ უნდა აზრუნვინოს კაცს,-რომ მაშინამ ის არ შეჭამოს,-ჩაიგდოს ამან მაშინა ხელში. ეს ხდება შესაძლებელი მხოლოდ შეერთებული შრომის შემწეობით. და როდესაც კაცი მივა იმ შეერთებულს შრომამდის, რომ ყველა თავნი და მოგება მის ხელთ იყვეს, მაშინები თვისის მოწყობილებაებით და სხვა ამგვარები შეარდგენნენ მათს საერთო საკუთრებას, მაშინ იმ გარემოებას, რომ კაცს მაშინა შეუმსუბუქებს შრომას, მისცემს ადვილათ სარჩოს შეძენის ღონეს,—ამითი კაცობრიობა ჰპოვებს ისრეთს სალსარს, რომელიც მას გაუხსნის ათასის გზით წარმატების გზას. ჯერ ერთი ესა, შეისვენებს ჯანი და ღონე, ექნება ამის სხეულს ზომიერი და არა მჩაგრავი შრომა, ზომიერი, შრომა მისცემს ამას სისრულეს, წარმატე-

დრტვინვა, უნგართადმი მიმართული, რუსინებს სრულიად ვერავითარს შეღავათს მისცემს!.. შეიძლება გვიპასუხონ, რომ ადვილი არ არის სიტყვის საქმედ გარდაქცევა და უნგართა ხელიდგან რუსინთა დახსნაო, რადგან მაგას დიდი შიში, ზარალი, კაცის სისხლის ღვრა მოსდევსო, მაგრამ ეს არაფერია! ჯერ ერთი რომ ყოველივე მსხვერპლი და სისხლის ჭღვრა ერის ტანჯვისაგან გამოსახსნელად შეწირული, სავალდებულო და საჭიროა და მეორე ის, რომ რუსეთს, როგორც ერთს ძლიერს სახელმწიფოს, მართლმადიდებელის სარწმუნოების მცნებებით მოსავს,—ადვილად შეუძლია მიჰმართოს ევროპის მართლმსაჯულებას და გამოიწვიოს საურთიერთო მსჯავრი ამ გვარის უკანონობის თავიდამ ასაცდენად, რომ ამ სახით სრულიად უსისხლოდ და უომრად მიანიჭოს მონათესავეებს სამართალი!.. საბუთად ამგვარის მოთხოვნილებისა და მისის კანონიერობისა ხელი ექნება ისტორია XIX-ტე საუკუნისა, როდესაც ჩვენ თვალ-საჩინოდ ვხედავთ აღდგენას და სულიერს ზრდას მცირე ერთა... ამგვარი მოთხოვნილება—მცირე ერთა დახსნა—მით უფრო კანონიერი და საგულისხმოა, რომ ადრე, თუ გვიან ასეთს წესს უსათუოდ სავალდებულოდ გახდის გინათლებული ნაწილი კაცობრიობისა.

შროშანი.

# ახალი ამბავი

⁂ ქალაქის საბჭოს მიერ ამორჩეული ფინანსთა კომისია, რომელიც სინჯავს ქალაქის 1895 წლის ხარჯთაღრიცხვას, უკვე ათავებს მუშაობას და ორშაბათს უკანასკნელი სხდომა ექნება.

⁂ სამშაბათს, 31 იანვარს, ქალაქის გამგეობაში დანიშნულია სხდომა საბჭოსაგან ამორჩეულ ხმოსან ტეხნიკოსთა კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს ქალაქის საყასბოების შენობის შესახებ პროექტი. ამასთანავე კომისია განიხილავს ხმოსან ნიკოლოოზ გრიქუროვის მოხსენებას საყასბოების ტივებზედ გამართვისა ანუ საგანგებოდ მტკვრიდგან გაყვანილ არხზედ აშენების შესახებ.

ქალაქის უძრავ მამულების ხელ-მეორედ დასაფასებლად ქალაქის საინსტრუქციო კომისიამ დაადგინა დააწესოს ექვსი კომისია, რომელმაც მამულების ხელ-მეორედ დაფასება უნდა გაათავოს ერთი წლის განმავლობაში. ამისათვის კომისიამ გადასწყვიდა სთხოვოს ქალაქის საბჭოს გადასდოს 37,000 მან.

⁂ ქალაქის საბჭოს შემდეგი სხდომა დანიშნულია ორშაბათს, 30 იანვარს.

⁂ ცნობილი პროფესსორი, ლინგვისტი გუსტავ მაიერი, რომელიც ქართულის ენის შესწავლას შესდგომია, ამ გაზაფხულს აპირებს ტფილისში ჩამოსვლას ქართულის ენის პრაქტიკისათვის.

⁂ ამ ჟამად ტფილისში ინგლისურის გაზეთის „Dailu Graphic“-ის კორესპონდენტი ბ-ნი ბრეილი გოდქეტსი იმყოფება, რომელიც რამდენისამე დღის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში დაიწყებს მოგზაურობას. ბ-ნი გოდქეტსი 1892 წელსაც იყო რუსეთში გაზ. „Times“-ის კორესპონდენტად გამოგზავნილი.

⁂ გუშინ, ნაშუადღევის სამ საათზე, ვიღაც ბოროტ-მოქმედთა ოსმალოს ქვეშევრდომი ყაზარ ყამალიანცი ჩხუბში ბებუთით მძიმედ დასჭრეს. ჩხუბის მიზეზი ჯერ გამოკვლეული არ არის.

⁂ ჩვენ გავიგეთ, რომ იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ახალი ქართული სამ-მოქმედებიანი კომედია ჩვენის ცხოვრებიდ მ. კომედიის სათაურია „ჩემი ქმარი ნადვორნი სოვეტნიკი არის“.

⁂ ვიღაც პოპოვიანცის ქალს 10,000 მანეთი შეუწირავს ცხინვალში სომხურის შკოლის დაარსებისათვის.

ს. პატარძეული: აქ ამ 23 იანვარს ერთი უბედურება მოხდა: ტატე ბასილაშვილი, მისი შვილი და სოლომონ ცხვარიაშვილი სოფლის მახლობლად ქვას ამტვრევენ სახლისათვის. მუშაობის დროს მიწა ჩამოწვა და სამივე ქვეშ მოიტანა; ხალხი მალე მიეშველა, მაგრამ ტატე ბასილაშვილი ათის წუთის შემდეგ გარდაიცვალა; დანარჩენნი დაშავებულნი არიან.

⁂ სად. აღსტაფა: აქ მშვენიერი დარებია, თბილა. აქაურს არე მარეს ნამდვილი ზაფხულის სახე სდევს. ყანებსა ჰრწყავენ. აქაურ მკვიდრთ არაფრად ეპაშნიკებათ ასეთი ზამთარი. კარგს არას მოასწავებსო, ამბობენ, სანოვაგე იაფია, საქონლის საკვებიც, მაგ. ფუთი ქერის ფასი შვიდს შაურზედ ჩამოვიდა დუქნებში. ვაი თუ ქართული ანდაზა ახდეს—თებერვალი და მარტი უკან არის.

## კორესპონდენცია

**გორი**, 27 იანვარს. შაბათს, 21 იანვარს, გორის საკრებულო დარბაზში შეიკრიბნენ წევრნი ერთი შემთხვევის გამო, რომელმაც დიდად აალელვა აქაური საზოგადოება. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ერთმა გორელმა კორესპონდენტმა «ნოვ. ობ.» ში გამოააშკარავა გორის საკრებულოს ზოგიერთა წევრების ულირსი საქციელი. დიახ, ბატონებო, ყველამ ვიცით, რომ გორის საკრებულოდგან იკარგებოდა სხვა-და-სხვა ნივთები და ამ ბოროტებას ჯერაც ბოლო არ მოჰღებია, თუმცა „ნოვ. ობ.“-ს კორესპონდენტმა ყველაფერი ჭეშმარიტად აღიარა, მაგრამ ეს ჭეშმარიტება თვალებში ეკალივით მოედო ზოგიერთა წევრებს. ამიტომაც ისინი კრებასა სთხოვდნენ კორესპონდენტი სამართალში მიეცესო; აგრეთვე დასჯილ-იქმნას „ნოვ. ობ.“-ის რედაქტორი, თუ რომ იგი კორესპონდენტის ვინაობას არ გვაცნობებსო. ამისთანა საუცხოვო წინადადების თანაგრძნობის ნიშნად ბევრმა ხმა გაიკმინდა. რაღა თქმა უნდა, რომ თუ ამ გვარად დაწყებულიყო საქმე, დიდს სირცხვილში ჩავარდებოდა ჩვენი საბრალო კრება; მაგრამ გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც კრებას გონივრული შემწეობა აღმოუჩინეს. ამავე დღეს გორის მომრიგებელ მოსამართლემ ექვსი კვირით დაპატიმრება მიუსაჯა ადგილობრივ ვაჭარს ი. ზ—ს. ეს შემთხვევა საყურადღებოა უფრო მით, რომ მთლად გორის საზოგადოება აღელვებულია ი. ზ—ის საზიზღარის საქციელის გამო. ამ ვაჭარს ქირით უჭირავს საკრებულო ტაძრის საკუთარი მაღაზია, რომელსაც ყოველთვის ერთი და იგივე ფასად ინარჩუნებდა და ჰხმარობდა მოხერხებული ვაჭარი. როცა-კი ყოფილა დანიშნული ვადა მაღაზიის გაქირავებისა, არას დროს მოცილეთ არავინ აღმოჩენილა, რადგანაც ტაძრის გულშემატკივრობა არავის გამოუჩენია. მხოლოთ წარსულ მაისში მაღაზიის ქირას წელიწადში ხუთი თუმანი მოემატა. ამ მხრივ დიდი მადლობის ღირსი მ. ბლ. ტურიევი, რომლის მეცადინეობით ორი ვაჭარი მოცილეთ მოვიდნენ, როდესაც მაღაზია ქირით ეძლეოდა. მაგრამ მ. ტურიევს იაფათ არ დაუჯდა მზრუნველობა. საცა უნდა ყოფილიყო, ყველგან უდიერათ იხსენიებდა ი. ზ—ი პატივცემულ მღვდელს. ეს კიდევ არაფერი. სამწუხაროდ ის გარემოება მიგვაჩნია, რომ დაუნდობელმა ზა—მა მამას ვერა დააკლო-რა და ახლა ტურიევის შვილის გაუბედურება მოიწადინა, რომელიც ტფილისის მეორე გიმნაზიაში სწავლობს. წარსულ დეკემბერს ი. ზ—მა ხუთი თვის განმავლობაში შეკრებილი ჭორები და სხვა-და-სხვა ცილის-წამება ტურიევზედ და იმის შვილზედ მთავრობას წარუდგინა. შვილის ცილისწამებამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ექვსის კვირის დაპატიმრებით დააჯილდოვა თავ-გასული ი. ზ—ი. მხოლოდ მ. ტურიევის შესახებ ჯერ ისევ გამოძიება სწარმოებს და, აშკარა საქმეა, მეორე ლაგამსაც გაუკეთებენ ცბიერს ვაჭარს.

წილკნელი.

**ბორჯომი** (გორის მაზრა). ბორჯომში და აგრეთვე ახლო-მახლო სოფლებში ძლიერ კარგი დარებია. კაცს ეგონება, მაისის დღეებიაო. თოვლი სრულიად არ მოსულა. ცოტათი წამოთოვა 23-ს იანვარს, საღამოთი, მაგრამ მეორესავე დღეს გადნა. თვალი ვერც-კი გავიძღეთ თოვლის ცქერით. როგორც ოსები, აგრეთვე ხის მომუშავენი გლეხები სტირიან, რომ უთოვლობის გადამკიდე ვერ უმუშავნიათ ხეებზედ, და ეს-კი შეადგენს იმათ ლუკმა-პურს. როგორც გლეხები ლაპარაკობენ, გარშემო სოფლის მინდვრებში და ქვიშხეთის მინდორში თაგვი გაჩენილა. მადლობა ჩვენს ბორჯომის ახალს ბოქაულს, რომ შინაური ქურდები მაინც არის გვიპოვა; აქ ერთს თათარს ეპარნა ღვინო ტიკებით მარნიდგან, სადაც მოაქვთ იმერეთიდგან გასასყიდად გლეხებს და აგრეთვე სხვა ნივთებიც; ყველა ეს ნაქურდალი ერ-

---

ბას. რაკი შეუმცირებს კაცს შრომას, მაშინ ყველა ადამიანს მიეცემა დრო დაფიქრებისა, ბუნების შესწავლისა, გონების ვარჯიშისა, მეცნიერების კვლევისა, ფილოსოფიის განვითარებისა, საზოგადო წესთა უკეთესათ მოწყობისა, ბუნებასთან დაახლოვებისა, მისთა კანონთა აღმოცენებისა, მისი სამართი ძარღვების ხელში ჭერისა. კაცს გაეხსნება გზა უფრო ადვილად ბუნების დამორჩილებისა.

ამგვარად, როგორც ესენი, ეგრეთვე სხვა ათასი გარემოებანი ცხადათ უჩვენებენ და უწყობენ კაცობრიობას ხელს შრომის შეერთებისა, ასსოციაცების დამყარებისათვის. პირნი შეადგენენ ჯგუფს, ჯგუფანი საზოგადოებას, საზოგადოებანი ერს, ერნი კაცობრიობას. ყველა გაინაწილებს შრომას, ყველა მიიღებს თავისი შრომის ფასს, გარდა იმისა, რაც ყველამ უნდა გაიღოს საზოგადო საქმეთა წყობილებისა და პატრონობისათვის.

სადამდის ამაღლებს კაცს ამგვარი შეერთებული შრომა და სადამდის აძლევს ხელს, ამის მრავალს მაგალითს ვხედავთ ევროპაში. უკეთესს მაგალითს გვიჩვენებს ფამილისტერია გოდენ ლემერისა ქალაქ გიზში, სადაც გარდა იმისა, რომ ყველა მუშას ჰქონდა საკუთარი ოთახი ყოველრიგი საჭირო მოწყობილებით, ცოლშვილიანს ორი და სამი და მეტიც, საზრდო ჰქონდათ სალი, შემრგო და რაოდენიც ან რაც ჰსურდათ, მოვლა და აღზრდა მათთა შვილთა ჰქონდათ საერთო და უმაგალითო ქვეყანაზედ. მთელს ქალაქს რომ მოსდებოდა გადამდები სენი და გაემუსრა, ისრე ჰქონდათ მოწყობილი გიგიენურათ და სანიტარულად შენობა და მიდამონი, რომ ეს სენი ამათ ახლოსაც ვერ გაივლიდა. მუშათა ჰქონდათ საკუთარი სამწიგნობრო, ჩინებურათა და მდიდრულათ მოწყობილი სამკითხველო; ჰქონდათ საკუთარი თეატრი, სადაც თვით მუშანივე იყვნენ მსახიობნი. ჰქონდათ საკუთარი ქორო მუსიკთა. იმ სისრულემდის მივიდნენ, რომ მუშები კითხულობდნენ ლექციებს და ბევრი მათგანნი არ ჩამორჩებოდნენ კარგს პროფესორებს.

თუ რა ძალა აქვს ამგვარს შეერთებულის შრომას, დღეს ამათი რაოდენობით სწონვენ სახელმწიფოთა ძლიერებას. რავდენათაც დღევანდელს სახელმწიფოებში გავრცელებულია შეერთებული შრომა, ასსოციაციები, კოოპერაცები ანუ როგორც ამ ბოლოს დროს უწოდეს საფრანგეთში, სინდიკატები, იმდენად ეს სახელმწიფო დგას მაღლა და მიდის სხვებზედ წინ. დღეს კოოპერაციები, სინდიკატები, ასსოციაცები, ამხანაგობანი, არტელები და სხვა ამგვარები, რომელთაც აქვთ სხვა-და-სხვა სახელები სხვა-და-სხვა ადგილებში და შეადგენენ ერთსა და იმავე წყობილებას,—შეერთებულს შრომას, —მოდებულია მთელს ევროპაში. სად გინდა არ გაიდგეს ამათ ფესვი: ქარხნებში, ვაჭრობაში, მრეწველობაში, ზღვაზედ, ხვნა-თესვაში, საქონლის მოშენებაში, რუების გაყვანაში, ქაობების ამოშრობაში და სხვა ამგვარები, რაკი ჰნახეს, რომ ცარიელი ხელით და გაცალკევებულნი ვერ გაუძლებდნენ კაპიტალისტებს, ვერ გაუწევდნენ მათ კონკურენციას. ევროპის მთავრობანი, რომელნიც არიან ბურჟუაზელი ანუ უკეთა ვსთქვათ ინდივიდუალური წეს-წყობის წარმომადგენელნი და შვილნი, დღეს, იძულებულ არიან, არამც თუ აღარა სდევნენ ესენი, პირიქით მისცენ შემწეობაცა გასავრცელებლათ, რადგან ჰხედავენ ამათში მარტო იმ ძალას კი არა, რომელიც მხოლოდ თავის თავს იცავს, ჰხედავენ სახელმწიფო ძალასაც, ჰხედავენ რომ ამათ ასწიეს სახელმწიფოს ძლიერებას როგორც ეკონომიურათ, ეგრეთვე პოლიტიკურათაც. ამგვარად ეს ამხანაგობანი, მთიდამ წამოსული პატარა თოვლის გუნდასავით, რომელიც რამდენიც ქვეით იწევს, იმდენი იზრდება და იერთებს გზათ მოდებულს თოვლსა,—ესენიც თან-და-თან იზრდებიან და იტაცებენ ძალა უნებურათ ყველა მათ, ვისაც უნდა თავის დაცვა, გადარჩენა სხვის პირით შთანთქმის, პატრონობა დღევანდელის დღისა და მომავლისა. დროშა ამათი ,,შეერთებული შრომა და მშრომელს თავისი შრომის ფასი!'' უქადის ქვეყანას: ,,ვაი იმას, ვინც არ შეეფარება ამ დროშას, ვინც ჩამორჩება იმის გზას. სადაც არ არის ეს, იქ არის მონობა, მტარვალობა. მონათა და მტარვალთა არა აქვთ კაცურთა კაცთა შორის ადგილი!''

აქ კიდევ საჭიროა მოვიყვანოთ ლისტის სიტყვები: „საეროვნო სული იქ იდგამს ფესვებს, სადაც აქვს ღრმა საძირკველი საერო კეთილ-დღეობას. მხოლოდ იქ იფურჩქნება და იშლება ეროვნება დიდებულთა და იძლევა დიდებულს ნაყოფსა. მხოლოდ საერთო ქონების ინტერესებიდამ შესდგება ზნეობრივი ერთობა, სახალხოსნო ანუ საეროვნო ძალა“. „ისტორია გვიჩვენებს,—ამბობს ის მეორეგან,—რომ იქ, სადაც ინდივიდუმნი ანუ ცალკე პირნი მუდამ ერთმანერთის ბრძოლაში არიან, ერის კეთილდღეობა უკანასკნელს მდგომარეობაში არის, და რავდენიც უფრო ვრცელდება ასსოციაციები, იმდენი უფრო მაღლა და სისრულეში მიდის ერთა კეთილდღეობა“.

V

ჩვენ აქ, როგორც ზემოთაც ითქვა, მოკლეთა და გაკვრით ვილაპარაკეთ მაზედ, რაც არის უმთავრესად საჭირო დავარდნილთა ერთათვის, რომ მოჰკიდონ ცხარედ ხელი და შეითვისონ, რათა ამითი შესძლონ მხარ-და-მხარ მიყოლა დაწინაურებულთა ერთა და არ გახდნენ მსხვერპლნი თვისი უშვერებისა, დაუფიქრებლობისა, წინ დაუხედაობისა. გადავიდეთ ახლა იმ ძალაზედ, რომელიც უნდა იყვეს ჩარხი, მმართველი, ხელის მძღვანელი, ძალის მომცემი ყველა ხსენებულთა და მათთა გვართა საქმეთა, აგრეთვე ყველა ერთა ყველა საქმეში. გადავიდეთ სწავლა-განათლებაზედ.

თუ სწავლა განათლება თვითონ ერის ხელშია, მეტადრე თუ სხვა ერებზედ უკან არის ჩამორჩენილი, უნდა ცდილობდეს ეს ერი მისცეს მოზარდობას სწავლა-განათლება იმგვარი, რომელიც იყვეს მიმართული ბუნების გამოკვლევასა და მის დამორჩილებაზედ. უნდა ბუნებითი მეცნიერებანი შეადგენდნენ უმთავრესს საგანს სწავლისას; უნდა ტეხნიკა, მედიცინა იყოს თითქმის საერთო საყოველთაო სასწავლებელი მთელის ერის მოზარდობისა. სწავლა უნდა იყოს ისრე დაყენებული, რომ მოზარდობა არ იჩაგრებოდეს სწავლით, რომელიც, სამწუხაროდ, თვით უპირველესთა ევროპის სახელმწიფოებში ისრე ცუდად არის დაყენებული, რომ მოსწავლენი ამ უჯათი სწავლით იჩაგრებიან გონებითაც და აგებულებითაც. ამგვარს ძალადურს სწავლას იქნება დროებით მოჰქონდეს ერთათვის სა-

თის ქვრივის დედაკაცის სახლში ეზიდნა. თათარი ბოქაულმა სურამის მომრიგებელ სასამართლოს გადასცა.

კარგი იქნებოდა პატივცემულს ახალს ბოქაულს ჩვენის მწერლისათვისაც მიექცია ყურადღება, რომელიც შეუბრალებლად გვძარცვავს და გვგლეჯავს საწყალს გლეხობას. დროა, ბოლო მოეღოს ამისთანა გაიძვერების მოქმედებას, გლეხის გაჭირვებულს მდგომარეობას გარედგან შემავიწროებელნიც ეყოფიან.

ბორჯომელი გლეხი.

26 იანვარი.

## ნაწყვეტი

ბედი მომადგა კარებზედ,
ვერ ვიცან ამას ვტიროი,
მის ნაცვლად თავზედ უსვადა
გარდავიკიდე შჭირიო;
გზიდარ, ვიძახი: ,,ახ, ბედო,
კვლავ დამინახვე პირიო!“
მაგრამ სადღაა, მე ჩემგან
ვიქმენი განაწირიო.

დ. ნინოწმინდელი.

## უცხოეთი

ბელგია. ქალაქ ანტვერპენში დასრულდა საქმე ქალის ჟონიოსი, რომელსაც ჰბრალდებოდა რამდენიმე კაცის მოწამვლა ამ საქმის გარჩევას სასამართლო ორს კვირას მოუნდა და ქალს მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. ჯერ კიდევ ახალგაზდასა და ლამაზს ჟონიოს მოუპოვებია ნდობა რამოდენიმე კაცისა, მათ შორის თავისს ნათესავებისაც, რომელთაც ამ ქალის სახელზედ დაუზღვევიათ თავისი სიცოცხლე სხვა-და-სხვა დამზღვევ საზოგადოებებში; ჟონიო ამ პირებს სწამლავდა და პრემიებს იღებდა.

საფრანგეთი. ჟურნალ-გაზეთობამ უკვე დაიწყო ლაპარაკი იმ გამამტყუნებელ საბუთების შინაარსის შესახებ, რომლითაც კაზიმირ პერიეს ჰსურს მიჰმართოს საზოგადოებას. კაზიმირ პერიე ამ საბუთის ძალღდებით აწინდელის და უკანასკნელის კაბინეტის ზოგიერთა წევრების დანაშაულს გამოაშკარავებსო, ამბობს საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობა. პრეზიდენტად ნამყოფი, ეჭვი არ არის, ყველაზედ უწინ დიუპუის მოღვაწეობას გაარჩევს. ამ უკანასკნელის წინააღმდეგ რამდენიმე გამამტყუნებელი საბუთი აქვს კაზიმირ პერიეს. პირველი, ექსპრემიერი, როგორცა სჩანს, კერძო არჩევნებზედ ეწინააღმდეგებოდა თურმე და ხელს უშლიდა იმ კანდიდატებს, რომლებსაც კაზიმირ პერიე ჰმომხრეობდა. დიუპუი სხვათა შორის, პირდაპირ გაუხდა წინააღმდეგი იმ საშუალებას, რომელსაც ჟერო-რიშარის არჩევის ხელის შეშლა შეეძლო. ეს საბუთები, რასაკვირველია თვით კაზიმირ პერიესაც ამხილებენ, რომლის მხრივ აგიტაციის არჩევანებში მხურვალე მონაწილეობის შესახებაც დღევანდლამდის არავინ-რა იცოდა. მაგრამ ყველაზედ დიდი დანაშაული დიუპუის მხრივ ის არის, რომ მან განზრახ გამოიწვია სამინისტრო კრიზისიო. კაზიმირ პერიემ განუცხადა მას რომ, თუ კაბინეტი დაიშლება, პრეზიდენტის თანამდებობას თავს დავანებებო და მიუხედავად ამისა, დიუპუიმ მაინც განზრახ მისცა მიზეზი პარლამენტს კაბინეტი დაშლილიყოო. კაზიმირ პერიე სჩივის, რომ მინისტრები არასოდეს არ მიზიარებდნენ და არ მატყობინებდნენ საჭირო და საყურადღებო საქმეების მდგომარეობასაო. აი, რა მოხდა ერთხელ. განოტომ თურმე არ გადასცა კაზიმირ პერიეს ჰესპანიის დედოფლისაგან გამოგზავნილი დეპეშა, და ამავე დროს რამდენიმე დღის შემდეგ ელისეის სასახლეში ჰესპანიის ელჩი თურმე მივიდა, რომ შეეტყო, როგორ იმოქმედა დეპეშამ პრეზიდენტზედ. კაზიმირ პერიეს, რომ როგორმე თავიდგან აეცილებინა და გაჭირვებულ მდგომარეობისათვის თავი დაეღწია, შემდეგი გაუგებარი პასუხი თურმე მისცა: „საგანი, მეტად საყურადღებოა,—წარმოსთქვა გულდაწყვეტით კაზიმირ პერიემ,— ამიტომ საჭიროა მისი ღრმად შესწავლაო“. კაზიმირ პერიეს მრისხანებას საზღვარი არა ჰქონდა; ელჩმა ხომ ვერა გაიგო-რა ამ პასუხიდგან და განცვიფრებული დაბრუნდა უკანაო. იმ დამეს პრეზიდენტს ძალიან გამწვავებული ლაპარაკი ჰქონდა გარეშე საქმეთა მინისტრთან. გენერალი მერსიეც მეტად აჯავრებდა კაზიმირ პერიეს: ამ უკანასკნელმა მხოლოდ გაზეთებიდგან თურმე შეიტყო, რომ სამხედრო მინისტრმა მომქმედ ჯარიდგან 20,000 ჯარის-კაცი თურმე დაითხოვა და სათადარიგო ჯარში ჩარიცხა, და სხვანი.

—

როშფორის მოსვლის დროს რკინის გზის სადგურზედ 200 ათას კაცამდე შეიკრიბა, თუმცა პოლიციამ ყოველივე საშუალება იხმარა, რაც შეიძლება ცოტა ხალხი ყოფილიყო; როშფორი ძლივს გამოვიდა ვაგონიდგან. ხალხმა დაინახა თუ არა როშფორი, იგრიალა: „როშფორს გაუმარჯოს! გაუმარჯოს განდევნილსო!“ გამოსცდა თუ არა რკინის გზის სადგურს,ხალხში ხელმეორედ გაისმა:«გაუმარჯოს როშფორსო!» ფეხზედ მდგომარე როშფორი ეტლიდგან უხდიდა მადლობას მის პატივის საცემლად შეკრებილს ხალხს. მთელი გზა ურიცხვის ხალხით იყო გაჭედილი, მაგრამ ისე აღტაცებით არ ეგებებოდა ხალხი სოციალიზმს, როგორც მოსალოდნელი იყო. „Intransigeant“-ის რედაქციასთან მრავალი ხალხი შეყრილიყო; მღეროდნენ მარსელიეზას და ყვიროდნენ: „როშფორს გაუმარჯოსო!“. როშფორი რამდენჯერმე გამოდგა აივანზედ.

„პარისელებიო,—ამბობს „Figaro“,—აღტაცებულნი არიან, რომ თავისს განდევნაში როშფორი მუდამ ნამდვილი გამომხატველი იყო იმისი, თუ ამ ჟამად საფრანგეთი რა მდგომარეობაში იყო. როშფორის მახვილს სიტყვებს აღტაცებაში მოჰყავდა ბულვარები მაშინ, როდესაც იგივ სიტყვები ბიუროკრატებსა და პროვინციალებს შიშის ზარსა ჰგვრიდა. თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ მთელის საუკუნის მესამედის განმავლობაში როშფორში სარკესავით იხატებოდა პარისის სული, მისი ცხოვრება. როშფორიც პარისისავით მუდამ ოპოზიციურს მდგომარეობაში იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა ჩვენი მთავრობა უსარგებლო და უხეირო იყო, რადგანაც ყველა ერთნაირად უთმობდა და სდუმდა იმათ წინ, ვინც მათ მოსვენებას არ აძლევდაო.

იმავე ნომერშია მოთავსებული მახვილი, მაგრამ იმავ დროს მწარე კარიკატურა ფორენისა. ,,ესაა განდევნილის დაბრუნება“. ფილაქან-ფენილებზედ ხალხი ტრიალებს, პატარა ბავშვები „ფანრებზედ“ მიიბლატებიან, რომ გამოჩენილ „ფანრის“ გამომცემელი უკეთ გაარჩიონ, პოლიციელნი წესიერებას იცავენ, რომლებსაც უშველებელი ყვავილების თაიგული უჭირავთ ხელში.

## ქართული თეატრი.

კვირა, 27 იანვარი

„უნდა გავიყარნეთ“ კომედ. 3 მოქმედ. და „ცელქები“ ვოდ. 1 მოქმედ.

ბენეფისი ქ. საფაროვ-აბაშიძისა

ჩვენის სცენის დამამშვენებელის არტისტი-ქალის ქალბატონ საფაროვ-აბაშიძის საბენეფისოდ გამართულმა წარმოდგენამ მხიარულად ჩაიარა. თუმცა ზემოხსენებული კომედია და ვოდევილი ქართულ სცენაზედ არა ერთხელ ყოფილა წარმოდგენილი, მაგრამ საზოგადოება მაინც დიდის სიამოვნებით ისმენდა და გატაცებით უცქეროდა ხელოვნურს თამაშობას, როგორც თვით მობენეფისესას, აგრეთვე დანარჩენ არტისტებისა. ყველა ეცადა, რომ თავისი მოვალეობა ღირსეულად შეესრულებინა და საზოგადოება ესიამოვნებინა და, ღვთის წინაშე, მათმა მეცადინეობამ მიზანს მიაღწია, რადგანაც საზოგადოება ძალიან კმაყოფილი დარჩა კომედიისა და, განსაკუთრებით-კი ვოდევილის აღსრულებით, რომელშიაც მობენეფისის, ბ-ნთ აბაშიძის და გედევანოვის მხიარულმა თამაშობამ საზოგადოება ძალიან გაართო.

დამსწრე საზოგადოება აღტაცებით მიეგება ქ-ნ საფაროვ-აბაშიძისასას მრავალ-ჯერ დაჯილდოვა ტაშის კვრით და ,,ვაშას“ ძახილით; რამდენიმე გვირგვინი და ნივთი მიართვა. წარმოდგენას ხალხი ნაკლებად დაესწრო. ამ გარემოებამ ძალიან გაგვაკვირვა, რადგანაც საფაროვ-აბაშიძისა ჩვენის სცენის უმთავრესი დედა-ბოძია, დიდი სამსახური მიუძღვის სამშობლო ხელოვნებისადმი და ამისათვის ყოველი ქართველი კაცი მოვალეა თანაგრძნობით მიეგებოს ხოლმე ნიჭიერის არტისტის ბენეფისს, მით უმეტეს, რომ ეს დღე არტისტის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი დღესასწაულია!..

ინ-ზენ.

## წერილები რედაქციის მიმართ.

I

ბატონო რედაქტორო!

მოგეხსენებათ, რომ გამოვიდა ჩემი თხზულებანი და რომ დავუკვირდი, შევამჩნიე ეს შეცდომა: მე-13 გვერდზედ რომ არის დაბეჭდილი ლექსი ,,თვალები“, ამ ლექსს ორ ხანას შემდეგ აქვს მაბეჭდილი ,,უკვილის“ ბოლო და ,,უკავილს“, ერთ ხანას შემდეგ აქვს მაბეჭ-

---

რგებლობა დღევანდელს გარემოებაში, მაგრამ საბოლოოდ ეს არის დამღუპველი კაცობრიობისა. დღევანდელი წესი სწავლისა, ესე იგი, გაუთავებელი და შეუსვენებელი გონების შრომა, ჰღუპავს მოზარდობას, ასნეულებს. ეს, არამც თუ უშლის მას, რომ მოსწავლემ სასწავლებლის შემდგომ კიდევ შესძლოს შრომა, რათა შესაფერი ნაყოფი მოუტანოს მეცნიერებას, ცხოვრებას, საქმეს და ამითი კაცობრიობასაც,—ცხოვრებაშიაც ვეღარ იტანენ ვერც ჯანით, ვერც გონით შრომის გავრცელებას. ეს უძლურება გადადის შთამომავლობაზედაც, რადგან ჯანიანს მშობლებს ეძლევათ ჯანიანი შვილებიც, უჯანოთა და უძლურთა—უჯანონი და უძლურნი, რომელიც ქამთა განმავლობაში იქცევა სამკვიდრო ნიჭად. სპენსერს ერთს თავისს სტატისტიკურს გამოკვლევაში მოჰყავს ცნობანი, რომ რაც ხანი გადის ევროპაში, იმდენი კაცთა სიცოცხლე მოკლდება, ხალხი ტანით იგვალება, გონება უუძლურდება. მაგრამ, უკეთუ თვითონ ერზედ არ არის დამოკიდებული თავისი სწავლა-განათლება, უნდა ცდილობდეს მაშინ არჩიოს იმგვარი სწავლა, რომელიც უხსნის გზას მთავრობაში ადგილების დაჭერისას, რომ იქ ჰყავდეს ერს წარმომადგენელი რაც შეიძლებოდეს ბლომად და დიდს ადგილას, რათა ამითი დაიცვას თავისი ინტერესები, თავისი ეროვნება, არ გახდეს მსხვერპლი ცხოვრებისათვის ბრძოლისა.

მე ვთქვი არჩიოს იმგვარი სწავლა მეთქი. ეს არჩევა იმას არ ნიშნავს, რომ ერმა სხვა რიგი სწავლა გაუშვას ხელიდამ. იმან უთუოდ და უთუოდ უნდა იქონიოს იმგვარი სასწავლებლები, რომელნიც იძლეოდნენ კონტინგენტს იმგვართა საჭირო პირთა, რომელთაც მთავრობაში ადგილი დაიჭირონ, რადგან თუ ესენი არ ეყოლებიან, სხვა, რაც გინდა საერო საქმე დაიწყოთ, ყველას მოეღება ბოლო, თუ სათავეში პატრონი და დამცველი არა გყავს. მაგრამ, თუ ერმა ამას არ მიაყოლა სხვა რიგი საერო საჭირო სწავლა, მაშინ ისიც ჰკარგავს თავის მნიშვნელობას, რადგან რისთვის-ღა უნდა ერს დამცველი, თუ კი დასაცველი აღარა ექმნებარა! ამგვარი სასწავლებლები, საიდამაც მთავრობის მოხელენი უნდა გამოვიდნენ, შედარებით სხვებთან, ერს არ დასჭირდება ბევრი. სხვა სასწავლებლებმა უნდა აღზარდონ მთელი ერი თავისი ყოველი საჭიროებისათვის, იმგვარი საჭიროებისათვის უფრო, რომელთაც დღევანდელს წესში დიდი ადგილი უჭირავთ, რომ ამ სწავლამ ასწიოს ვაჭრობის, მრეწველობის, მექარხნობის, მადნეულობის მოვლა-პოვნას. უნდა ყოველი ღონე იხმაროს, რომ მთელი ერი გაჰხადოს მწიგნობარი, რადგან დღევანდელი ძალა ეკონომიური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი, გონებრივი არის დამყარებული მაზედ, თუ რაოდენათ არის ერში გავრცელებული მწიგნობრობა. მართალია, ჩვენში გაისმა ჩვენთა ესრედ წოდებულთ განათლებულთა პირთაგან თავად-აზნაურთა სასწავლებლის კრებებზედ არაკაცური აზრი, ვიწრო გამოუშუშავი გონებისა, რომ „სასწავლებლები ბოდადელნიები არ არიან, რომ მუქთათ ისწავლონ ღარიბთა და დაცემულთაო“ *). ამ მხეცურმა აზრმა კიდეც სძლია აზრი, რომელიც თხოულობდა სულ სხვას. მაგრამ, ვაი იმ ერს, რომელიც უჯერებს ამ გვართა მოძღვართა, და რომელიც აღზრდის ამ გვართა წინამძღვართა! თუ ერს უნდა თავისი თავის დაცვა, კაცობრიობაში კაცური ღირსებით დარჩენა და არ უნდა მოეღოს ბოლო, უნდა სწავლა-განათლება საყოველთაო და მუქთი გაჰხადოს. ეს დიდი ხანია შეიგნეს დაწინაურებულთა ერთა, რის გამოც მწიგნობრობა გაჰხადეს საერთო სავალდებულო და მეტი წილი მუქთი. იქამდის სავალდებულო გაჰხადეს, რომ მაგალითათ ნემეცები,— არამც თუ გერმანიაში, თვით რუსეთშიაც გადმოსახლებულნი,—მინამ ბავშვი კატეხიზმოს არ ისწავლის, ზიარებას არ აღირსებენ. ეს გადმოსახლებულთ ნემეცთა რუსეთში რუსის მთავრობას კანონათაც-კი დაადებინეს და ამ გვარით ყველა თავისი მოზარდობისათვის სავალდებულო გაჰხადეს სწავლა, (Прилож. къ прод. 1890 г. Св. Зак. ч. I т. XI уст. иностр. испов. прилож къ ст. 322, ст. 1—12 და დააწესეს სასჯელი კანონით იმ მშობლებზედ, რომელნიც არ შეასრულებენ ამ მოვალეობას. ერმა უნდა ყოველი შემჭირვნება მიიყენოს, არასფერს ხარჯს არ უნდა მოერიდოს და მწიგნობრობა-კი უნდა საყოველთაო სავალდებულო მუქთი გაჰხადოს და გაავრცელოს თავის შორის, რადგან, გარდა სხვა რიგი საჭიროებისა, დღევანდელს დახარჯულს მანეთს სწავლაზედ, ხვალ მოაქვს მოგება ერთიორათ, ერთი-ათათ. გარდა ცოდნისა, რომელსაც მწიგნობრობა სძენს ხალხსა, მწიგნობრობა უხსნის ხალხს გონსა, უჩვენებს და აცნობებს თავისსა და სხვის კაცობრივთა ღირსებათა, თავის ბუნებრივს ძალას და უფლებას, კაცთა შორის კაცურათ თავის დაჭერას, მიხვედრას თავისა და სხვის უფლებათა; აცნობებს: სადა თავდებიან მისი უფლებანი და სად იწყობიან სხვებისა ან სად იწყობა მისი უფლებანი და სადა თავდებიან სხვებისა, რომლისაც გაგება შეადგენს უმთავრესს ღირსებას კაცობრიობის გონების გახსნისას, კაცთა შორის ერთობისა, ძმობისა, თანასწორობისა და დამოუკიდებლობის დამყარებას. უმწიგნობრო ერი არის მსხვერპლი და ლუკმა თავიზედ მწიგნობარი მეზობელი გინდა შორეული ერისა. უმწიგნობრო ერს თუნდა ქვეყნის სარჩო და შეძლება ჰქონდეთ დღეს, ხვალ რჩებიან ხელ-ცარიელნი: ამათ მამა პაპით შეძენილი ქონება, მამული, სარჩო-საცხოვრებელი გადადის მცოდნე მწიგნობარი ერის ხელში, რომლისაც მაგალითებს ვხედავთ ყოველს ნაბიჯზედ. ამასთან სწავლას, მწერლობას, საზოგადოთ მწიგნობრობას ვალად ადევთ აუხსნან ერს ლტოლვილება, გზა დაწინაურებულთა მოაზრეთა განათლებულს ერებში შესახებ მომავალი საზოგადოებრივი და ეკონომიური წყობილებისა. შეცვლა იმ წეს-წყობილებისა, რომელიც დღეს მკვიდრობს კაცობრიობაში, იმ გვარ წესებათ, როგორც ისწავლებიან დაწინაურებულნი მოაზრენი, სასარგებლო ისრე გაძლიერებული ერებისათვის არ არის, როგორც არის საჭირო და სასარგებლო დაცემული ერებისათვის. საყოველთაო შეთანასწორება აძლევს მოგებას ისრე იმათ არა, ვინცა სჩაგრავს, როგორც იმათ, ვინც იჩაგრებიან, რათგან დაჩაგრული ხდება სწორი მჩაგვრელისა, რაც აკლდება მჩაგვრელს ემატება ჩაგრულს. ამის გამო მწიგნობრობა დავარდნილი

*) თუმცა ეს სასწავლებელი არის აგებული ღარიბთა და დაცემულთა ფულთაგან.

...ილი „თავს... “ ბოლო, ამ ხანად. ...ქმნება სხვაც იყოს ცთომილება, მაგ... ...ანად მარტო ამ შენიშვნის და... ...ვჭ, გთხოვთ.

თ. რაფიელ ერისთავი

## II

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ბ-ნს ნიკოლოზ ... ოლონბერიძეს, რომელმაც წრეულსაც შემოსწირა „მოამბე“ გურიის სახალხო წიგნთ-საცავს, აგრეთვე რედაქციებს: „ივერიისა“, „კვალისა“ და „ახალის მიმოხილვისას“, რომლებიც უფასოდ უგზავნიან თავისს ნომრებს.

გამგეთაგანი: ვისია.

## შემოწირულება

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნთ-საცავს შემოსწირეს 1, თ. იასონ ციციშვილმა: 39 რუსული წიგნი, 1 ქართულ-რუსული ხელთნაწერი ლექსიკონი, 23 ქართული სიგელი და 8 რუსული დოკუმენტი ამ საუკუნის დასაწყისისა, 4 ნაჭერი ძველი სპილენძის ფული, 1 ბეჭედი (დასაბეჭდი).

2) გიორგი სამავლიშვილმა: «მინიატურული დაუჯდომელი» ღვთის-მშობლისა, დაბეჭდილი ქუთაისში სოლომონ დროს, და მეფის, «ზეციდგან ჩამოვარდნილი იესო-ქრისტეს წერილი (ხელთნაწერი), «გრამატიკა» დაბეჭდილი ხუცურის ასოებით, ნაწ. I, „მიცვალება ღვთის მშობლისა“, თქმული ვასილ კაპადოკიელის მიერ (ხელთნაწერი), «ცხოვრება და მოქალაქობა ევფემიანესი და მისა მისისა ალექსი კაცისა-ღვთისა» ხელთნაწერი), «უარამანიანი» (ხელთნაწერი ნაწყვეტი) და ქართული გრცელი „კატეხიზმო“ (ხელთნაწერი).

3, კნ. ოლგა თადეოზის ასულმა ჭავჭავაძისამ: გრ. ორბელიანის 105 წერილი სხვა და-სხვა პირთა მიმართ.

და 4, მასწავლებელმა გიგო ზოიძიაშვილმა 5 ძველი სიგელი.

საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

# დეპეშა

27 იანვარი

**პეტერბურგი.** ლონდონიდგან სწერენ გაზ. „Новости“-ის. ინგლისის საზოგადოების ყურადღება სომხეთის საქმეებზეა მიპყრობილი; საზოგადოება მეტად აღელვებულია ოსმალეთის წინააღმდეგ. ლორდ როზბერი თხოულობს, რომ სომხეთიდგან ძველი მოხელენი გამოწვეულ-იქმნან და იმათს ადგილზედ ქრისტიანეთაგანნი იქმნენ დანიშნულნი მოხელეებად. „Новое Время“ გვატყობინებს, რომ ინგლისის პარლამენტში 40 წევრმა კიდევაც გარდასწყვიტა, ძალა დაატანოთ, სომხეთის პროვინციებს თავისი მმართველობა მიენიჭოსო.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 იანვარი

**ლონდონი.** ხმა დადის, რომ იტალიის ტახტის მემკვიდრე უელსის პრინცის ქალს პრინცესა მოდს ირთავსო.

**ლონდონი.** როგორც ჩინეთიდგან მოვიდა ამბავი, უკანასკნელ შეტაკების დროს მოუკლავთ მთავარმართებელი იაპონიის პირველის ჯარისა ნოზდუ და ჩინეთის ქვეითა ჯარის უფროსი ტ. ი. იაპონიის ფლოტსა და ჩინეთის სამხედრო ნავთ-სადგურს შორის ვეი-ჰაი ვეიში სროლა არ შეწყვეტილა.

**ლონდონი.** როგორც გაზ. „Times“-ის პარისელს კორესპონდენტს შეუტყვია, ევროპის სახელმწიფოთ ვითომ-და გადაუწყვეტიათ, ჩინეთ-იაპონიის ომის საქმეში არ ჩაერივნენ, ვიდრე ჩინეთი დაძლეულად არ აღიარებს თავსაო. მერე გამოეცხადება იაპონიას, რომ მას ნებას არ მისცემენ აზიის ხმელეთზედ მიისაკუთროს რამე, ხოლო არ დაეშლება მას ამგვარი მისაკუთრება ხმელეთის გარეშე. ამ ომის სქამეზედ გაწეულ ხარჯის გამოსყიდვას ევროპის სახელმწიფონი თვით მეომარ სახელმწიფოებს მიანდობენ. ჩინეთს მოსთხოვენ, რომ თვისი ნავთ-სადგურები მუდამ გახსნილი ჰქონდეს როგორც თვის საკუთარ ისე სიყოველთაო ცივილიზაციის ინტერესებისათვისაო.

ერებისა უნდა ყოველი ღონით ცდილობდეს ამ გზაზედ გაუხსნას ერს გონება, მოამზადოს ცოდნითა და გონებით ამ საქმისათვის.

## VI

დასასრულ წერილისა არ შეიძლება არ ვუჩვენო მკითხველს ერთს დიდად საყურადღებო საქმეზედ იმ ერთა შესახებ, რომელნიც იძულებულ არიან მიიღონ მაგალითები და სწავლა-განათლება დაწინაურებულთა ერთაგან. მე ერთს ჩემს წერილში სათაურით „ჩვენი სალტოლველო“, რომელიც იყო 1872 წ. „მნათობში“ დაბეჭდილი, ვრცლად ვილაპარაკე ამ საგანზედ. აქ ვიტყვი მოკლედ.

როდესაც კაცი დააკვირდება, დაინახავს, რომ დაწინაურებულთა ერთა შორის, იმ დიდს ღირსებასთან, რომლებითაც, მაგალითად, მეცნიერებით, ტეხნიკით, ხელოვნებით, აზროვნებით სწევენ კაცობრიობას წინ, აქვთ იმდენი ნაკლი, რომ ბევრს დავარდნილს ხალხს არც-კი გაუგონია. და თუ დავარდნილს ხალხს არა ჰყავს კარგათ აზრგამორკვეული ხელის-მძღვანელები, სამწუხაროთ, პირველად იმ ნაკლს ითვისებენ დაწინაურებულთ ერთაგან. აიღეთ თუნდა მაგალითად ქალთა მოდები, კორსეტები, კლუბები და კლუბებში ცხოვრება, ბალები მრავლად შეყრილთა ხალხთა შეიწროებული ტანთსაცმელით დახშულს უჰაერო სახლებში, უკანასკნელს მოქანცვამდის უაზროთ ტლიკინი და აღელვება დამაკავალერთა ერთმანერთზედ გლასუნით. აიღეთ თუნდა მეტი მოთხოვნილება, სურვილი მდიდრული ცხოვრებისა, ვიდრემ შესრულება შეიძლება. მართალია, არიან ეკონომისტნი, როგორც მაგ. ლასალი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მეტი მოთხოვნილება უძლევს წინ პროგრესსაო, მაგრამ ცხადია ამას ამბობენ ზომიერს და არა მდიდარჯულს მოთხოვნილებაზედ, და რომ კარგათ ჩააკვირდეს კაცი საქმესა, ჰნახავს რომ ამ გადაჭარბებულს, მდიდრაჯულს ცხოვრებას მოჰყვა მრავალი უბედურება ევროპაში. რაკი ხალხი დადგა ამ გზაზედ თავისი გაზვიადებული სურვილისა და მოთხოვნილების შესასრულებლათ, ის არ მოერიდა არაფერს. ამან, მართალია ზოგში ისიც დაჰბადა, რომ ხალხმა თავისი მეტი მოთხოვნილების შესასრულებლათ უმატა მხნეობას, მეცადინეობას, მაგრამ ზომას გადასულმა მოთხოვნილების შესრულებამ დაჰბადა ისიც, რომ კაცმა უწყო თავის თავს, თავის ხორცს ვაჭრობა, ამ გვარს ვაჭრობას სუბუქათ ყურება. ერთი უმთავრესთ მიზეზთაგანი იმ სამარცხვინო მდგომარეობისა, რომელსაც გვიჩვენებენ სტატისტიკური ციფრანი, რომ დღეს 360000 როსკიპი საქვეყნოთ დედაკაცია ლონდონში, რომელიც სრულიადაც არ ითვლება სხვა ქალაქებზედ გაყრყვნილათ, არის ეს მეტი ზომას გადასული მოთხოვნილება მდიდრაჯული ცხოვრებისა. რა მოსდევს ამ გვარს ცხოვრებას? სიფილისი, სხვა ვენერიული ავათმყოფობანი. ვისაც წაუკითხავს თვით უბრალო მედიცინური გამოკვლევანი, იცის რაც მოსდევს შთამომავლობისათვის ამ გვარს სენის მოდებას და გავრცელებას ხალხში, შთამომავალში. ხალხი, შთამომავალი ხდება სნეული, უძლური, მჭლექი, ბრმა, სურავანდიანი და სხვა ათას სენ მოდებული. ეს სენი ემუქრის ევროპას დიდათ სამწუხარო საბოლოვოს. ეს ერთი მხარე, რომელიც მოსდევს ამ გვარს გზაზედ დადგომას. არის მეორე მხარე უსრესად კიდევ დამღუპველი შთამომავლობისა. საროსკიპონი ევროპისა ივსებიან საუკეთესო სალთა და მშვენიერთა ქალთაგან. ესენი, ჯერ ერთი ესა, თუნდა კიდეც რომ იძლეოდნენ შთამომავლობას, მოიცემიან სნეულს შთამომავლობას, რადგან საროსკიპოში სენს არ ასცდებიან, მაგრამ, აქ შესული ქალი თვით გარემოების გამო უნდა დარჩეს უშვილოთ. რა ხდება იმ ხალხში, სადაც საუკეთესო აგებულებისა და ჯანის ქალნი ეგებიან ესრედ უძეოდ? ის, რომ შვილოსნობას მარტო უარესობაა, რის გამოც უკეთესთაგან აღარ მოდის შთამომავალი, მრავლდება უარესობა. წარმოიდგინეთ ჯერ ლონდონისა 360000 როსკიპი, მოგლეჯილი ოჯახს, შვილოსნობას: ეს ამოდენა ქალთა მშვენება უნდა გამოაკლდეს თავისთა მსგავსთა მოშენებას თავის ერში. ეს ცხადია, რაც ხანი გავა, იმდენი უფრო იკლებს ამ გვარს ხალხში ჯანიანი და მშვენების ხალხი. და სხვა ამ გვარები.

ამგვარივე უბედურება მოსდევს იქ შკოლისა და სწავლის რუტინას, რომელიც დამყარებულია იქა და ისრე სამწუხაროდ მოქმედობს მოზარდობაზედ. დახშული სახლები, დახშული ჰაერი, ნორჩი ბავშვი აქ ჰაერში, დღე და ღამ შეუსვენრათ თავჩაკრული წიგნებში, ციფრებში, უცნობს და უსაგნო ზეპირობაში, როგორც ითქვა ზემოთ, პატარაობითვე უძლურდება, სნეულდება შკოლის სკამებზედვე და ცხოვრებაში ხდება გამოუდეგარი შთამომავლობისა მომწყვლელი. და სხვა-და-სხვა-და-სხვა.

აქ, ამ გადმოღებასა და ბაძვაში დაწინაურებულთა ხალხთა ცხოვრებისა ჰმართებთ სიფრთხილე დაცემულთა ერთა, და ვალათ ადევთ მათთა დაწინაურებულთა პირთა დიდის სიფრთხილით წინ წაძღოლა ერისა ამ საქმეში.

ანტონ ფურცელაძე.

20 მარტს 1894 წ.


**იესე რევაზის ძე ბადრიაშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებს-რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას თავისის დედისას, ნინო სპირიდონის ასულის ბადრიაშვილისას, სთხოვს მობრძანდნენ და დაესწრნენ პანაშვიდს 29, საღამოს 7 საათზედ; გამოსვენებას 30 დილის 9 საათზედ სამების ეკკლესიაში და დაკრძალვას პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ. (1—894—1)

**უმაღლესად** დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

## დამზღვევი საზოგადოება „როსსია“

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან. საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუგეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.);

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი. № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 3) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთები მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემების ნავთ-სადგურებზედ. 50—6—6

## დამზღვევი საზოგადოება „იაკორი“

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა 2,500,000 მან. აქვს გარდა სათადარიგო ფულისა.

**დაზღვევა ცეცხლისაგან.**

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

**დაზღვევა სიცოცხლისა.**

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, შვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და აღნიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კი თვით დაზღვეული თანხაც—10,000 მან.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში, კავკასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2) და იმპერიის ყველა ქალაქების საგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—5)


Дозволено цензурою, Тифлисъ 29-го Января 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.